ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1384992

ნომერი: AR1231926

თარიღი : 01.07.2014

გაცემის თარიღი : 14.07.2014

გაცნობის თარიღი : 22.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ა. წერეთლის გამზირი , N 87ბ ; ქალაქი თბილისი , ა. წერეთლის გამზირი , N 87ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა ცხვიტავა პ/ნ 01019005995
- თბილისი კნოლევის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადებზე კონდიციონერების, სავენტილაციო მილის და ორი მცირე ზომის სავენტილაციო ღიობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ა. წერეთლის გამზირი, N87ბ–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სავენტილაციო მილის, მოქ. თეა ცხვიტავას კუთვნილი ფართების ფასადებზე კონდიციონერების და ორი მცირე ზომის სავენტილაციო ღიობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მოქ.თეა ცხვიტავას კუთვნილი ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014028673 22/01/2014წ., საკადასტრო კოდი N 01.13.06.004.031.01.507, ავტოსადგომის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014354938 08/07/2014წ. ს.კ. N 01.13.06.004.031.01.923; არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ორბი“–ს საერთო წევრთა კრების ოქმი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ა. წერეთლის გამზირი, N87ბ–ში, თანასაკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სავენტილაციო მილის, მოქ. თეა ცხვიტავას კუთვნილი ფართების ფასადებზე კონდიციონერების და ორი მცირე ზომის სავენტილაციო ღიობის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ კონდენციონერის დანადგარის შემდგომი ფუნქციონირებისთვის დაცულ იქნას შესაბამისი ნორმატივები და უსაფრთხოების ნორმები.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge